ფინანსური ანალიზის თანამედროვე მეთოდების გამოყენება გადაწყვეტილების მიღების პროცესში მცირე და საშუალო ზომის საწარმოების მაგალითზე

მარიამ მორჩილაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიებისა და განათლების ფაკულტეტზე ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

მენეჯმენტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი ხიშტოვანი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიამ მორჩილაძე, 2 ივლისი 2022

აბსტრაქტი

მცირე და საშუალო ზომის საწარმოების (მსს) განვითარება ნებისმიერი ეკონომიკისთვის უმნიშვნელოვანესი საკითხია, რადგან, როგორც წესი, სწორედ ამ ზომის საწარმოები წარმოადგენენ ბიზნესის უმეტესობას. ისინი მნიშვნელოვნად ამცირებენ უმუშევრობის დონესა და ქმნიან მთლიანი შიდა პროდუქტის უდიდეს ნაწილს. შესაბამისად, კრიტიკულად მნიშვნელოვანია ამ ტიპის საწარმოების სწორი, ეფექტიანი და მდგრადი განვითარება, რაც გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, ფინანსური ანალიზის თანამედროვე მეთოდებით გაკეთებული, სწორი მიგნებების გამოყენებით მიიღწევა. ნაშრომში არსებული კვლევა ეხება ფინანსური ანალიზის თანამედროვე მეთოდების გამოყენებას ქართული მცირე და საშუალო ზომის საწარმოებში. ფინანსური ანალიზის ნაკლებობის გამო მცირე და საშუალო საწარმოები, ზოგიერთ შემთხვევაში, იღებენ დაგვიანებულ, არაზუსტ ან არასწორ გადაწყვეტილებებს. ამ პრობლემის გათვალისწინებით, ჩატარებული კვლევის მიზანი იყო დაედგინა ფინანსური ანალიზის თანამედროვე მეთოდების გავლენა საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაზე. კვლევის მიზნის მისაღწევად ჩატარდა რაოდენობრივი კვლევა შემთხვევითობის პრინციპით შერჩეულ საქართველოში არსებულ მსს-ების გადაწყვეტილებების მიმღებ პირებს შორის. კვლევის დროს შეგროვებული ინფორმაციის ანალიზი და ინტერპრეტაცია მოხდა აღწერითი სტატისტიკის გამოყენებით. კვლევის ანალიზმა აჩვენა, რომ ფინანსური ანალიზის თანამედროვე მეთოდები საწარმოების გადაწყვეტილებების მიმღები პირებისთვის არის ერთ-ერთი უმთავრესი ინსტრუმენტი. გასათვალისწინებელია მისი როლი სწორი მიგნებების გასაკეთებლად, რომელიც შემდგომ ეფექტიანი სტრატეგიული თუ ტაქტიკური გადაწყვეტილებების პროცესში იქნება გამოყენებული, ასევე, კარგი საშუალებაა ხარჯების ოპტიმიზაციისთვის, დროითი და ადამიანური რესურსის დაზოგვისთვის.

საძიებო სიტყვები: ფინანსური ანალიზი, ფინანსური ანალიზის თანამედროვე მეთოდები, მცირე და საშუალო ზომის საწარმოები, გადაწყვეტილების მიღების პროცესი.

Abstract

The development of small and medium-sized enterprises is the most important topic for economy, because, as usual, enterprises of these sizes cover the largest part of the business, they reduce the unemployment rate significantly and make up the largest part of GDP. Therefore, the correct, efficient and sustainable development of these types of enterprises is vital. This is achieved by using the correct findings made by modern methods of financial analysis in the decision-making process. The research in the paper concerns the use of modern methods of financial analysis in Georgian small and medium sized enterprises.

Due to the lack of financial analysis, small and medium sized enterprises usually make late, inaccurate and sometimes even wrong decisions. The aim of this study is to determine an impact of modern methods of financial analysis on the development of small and medium-sized enterprises in Georgia based on the above mentioned problem. To achieve the purpose of the study a quantitative survey was conducted among the decision makers of small and medium-sized enterprises in Georgia based on the random selection method. The information collected during the study was analyzed and interpreted using descriptive statistics. Research analysis has shown that modern methods of financial analysis for enterprise decision makers are a key tool not only to make the right discoveries, which then will be used in effective strategic or tactical decision making, but also an effective way to optimize costs, save time and human resources.

Key words: Financial analysis, Modern methods of financial analysis, Small and Medium sized Enterprises, Decision-making process.